პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 176 (10 095)

12 სექტემბერი, სამშაბათი, 1989 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ, „ფაზისო!“

ПРАВДА

ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროდან, ხოლენტის უურედან, სტარტი აიღო საერთაშორისო საიალქნო რბოლამ დედამიწის გარშემო „უითბრედ 89-90“.

ცხრა თვის განმავლობაში, ექვსი ეტაპისგან შემდგარი რბოლისას, აფროსნებმა უნდა გაცურონ 30 ათას მილზე მეტი, მარშრუტით ინგლისი-ურუგვაი-ავსტრალია-ახალი ზელანდია-ანტარქტიდის უინულების გვერდის ავლით ჰორნის კონცხთან — ურუგვაი-აშშ (ფლორიდის შტატი) — ინგლისი.

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ რბოლაში „მაქსი“ კლასის აფრიანი ნავით, რომელიც სულ რაღაც შვიდ თვეში აიგო საქართველოში, ფოთის გემთსაშენებელ-გემთშემკეთებელ ქარხანაში, პირველად მონაწილეობენ ჩვენი სპორტსმენები. ნავის აგებასთან და მისი თანამედროვე საშუალებებით გაწყობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის ესოდენ მცირე დროში გადაჭრა შესაძლებელი გახდა ერთობლივ მრავალდარგოვან საბჭოთა-დასავლეთგერმანულ საწარმო „ფაზის სპ“-ს შემწეობით, რომელსაც სათავეში უდგას ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ტიხოვი.

მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმოჩნდა ნავი ტრადიციული ნათლობისას. ქარმა გაშალა თეთრი აფრები, მზე თბილი სხივებით მიეალერსა ფრიად ორიგინალური კონსტრუქციის ახალ მსუბუქ ნავს. და უწოდეს მას „ფაზისი“ — ძველად ასე ერქვა ფოთს. ნავი „თავისი სვლით“ მიცურდა სოხუმამდე, სადაც ჩაიტვირთა გიგანტ თვითმფრინავ „რუსლანში“, რომელმაც იგი ინგლისში ჩაიტანა.

„ფაზისის“ დიდ გზაზე გასაცილებლად ინგლისში გაემგზავრა საზოგადოებრიობის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარე ნ. ენდელაძე. დელეგაციის შემადგენლობაში იყო ადამიანი, ვისი ცხოვრებაც მრავალი წლის განმავლობაში განუყოფლად უკავშირდება ზღვას: მსაჩურობდა ფლოტში კაპიტნის უფროს თანაშემწედ, ზავსადგურის უფროსად, ამჟამად კი საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანია — პ. ბერაია.

— ნავის აგება — შთაბეჭდილებებს გვიზიარებს პეტრე შალვას ძე — ერთგვარ გამოცდად, ჩვენი საწარმოს ტექნიკური პოტენციალის შემოწმებად იქცა. მჯერა, იგი განსაზღვრავს მომავალს ნავთმშენებლობის დარგში, რომელშიც ჩვენ აშკარად ჩამოვრჩებოდით. განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ქვეყნის ცნობილ აფროსნებთან ერთად ეკიპაჟის შემადგენლობაში ჩვენი რესპუბლიკის ორი წარმომადგენელია თბილისელი ნ. თენეიშვილი და ფოთელი ჯ. ცომაია. „ფაზისის“ ეკიპაჟს სათავეში უდგანან კაპიტნები —კიეველი ა. გრიშჩენკო და გამოცდილი სპორტსმენი, ამგვარ შეჯიბრებათა ვეტერანი ამერიკელი ს. ნოვაკი. საქმე ისაა, რომ საბჭოთა სპონსორების — „ფაზის სპ“-ს, აეროფლოტის, სოვინცენტრისა და რესპუბლიკურ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ გარდა ჩვენს ნავს ჰყავს საზღვარგარეთულიც — საქვეყნოდ ცნობილი ამერიკული ფირმა „პეპსი“.

გზაკეთილი და ზურგქარი შენს აფრებს, მშვენიერო „ფაზისო“!

ტ. კონსტანტინოვა.

გაზეთი „პრავდა“. 11 სექტემბერი, 1989 წ.



უაბახი ძველთაგანვე პოპულარული ცხენოსნური სანახაობა იყო საქართველოში. ჩვენში ბევრგან, მათ შორის თბილისში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლომდე ყოფილა უაბახში შეჯიბრების სპეციალური ადგილები. რამდენიმე ათეული წელია ეს სახეობა საერთოდ ამოვარდა საქართველოს ცხენოსნობის ასპარეზობათა პროგრამიდან, თუმცა ბოლო წლებში კვლავ იგრძნობა მისი დაბრუნების მცდელობა.

როგორც გაუწყეთ, ახლახანს წალენჯიხაში გაიხსნა სტადიონ-იპოდრომი, სადაც ცხენოსნურ ზეიმზე უაბახიც იყო წარმოდგენილი. ხაჭინფორმის კორესპონდენტის ბ. სოკოლოვის ფოტოზეც სწორედ ეს მომენტია ასახული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდა ოკეანეში

იალქნიანი ნავებით დედამიწის გარშემო რბოლის „უიტბრედის“ მონაწილეებს პირველი უძნელესი გამოცდა მოუწყო ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთის ძლიერმა ქარმა, რომელიც ზოგ შემთხვევაში გრიგალის ძალას აღწევდა და „მეზღვაურებს“ სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა.

რბოლის ამ მონაკვეთზე რამდენიმე ნავის ანძა გადაიმტვრა, აფრები დაიხა, ზოგმა ეკიპაჟმა თავი ახლობელ პორტს შეაფარა. ახლა, ამ ნავების წევრები სარემონტო სამუშაოებით არიან დაკავებულნი.

პირველად დახმარება დასჭირდა ფინურ „იუბფს“, რომელსაც ლუდე ინგვალდი მეთაურობს. სულ მალე მას ინგლისის „კრეიტონი“ მიჰყვა (მეთაური ჯონ ჩიტენდენი). შვეიცარიის ნავის „მერიტის“ ეკიპაჟის ერთ-ერთ წევრს მთელი დღე ანძაზე ყოფნა მოუხდა, რათა მწყობრიდან არ გამოსულიყო იგი და ბრძოლა გაეგრძელებინა. დაფლეთილ აფრებს ცვლიან ესპანეთის „ფორტუნასა“ და საფრანგეთის „შარლ ეურდენზე.“

გრიგალმა შეჯიბრების მონაწილენი სარეკორდო მოკლე დროში მიაყენა აფრიკის ნაპირებს. ისინი ერთმანეთისგან დიდი დაშორებით არიან გაფანტული ოკეანეში. მაგრამ სინოპტიკოსთა ცნობებით ახლა სუსტი ქარების ზონა დაიწყება და არავინ იცის როგორ განვითარდება მოვლენები.

საბჭოთა ნავი „ფაზისი-პეპსი“ გმირულად მიიკვლევს გზას თავის პირველ, ურთულეს რბოლაში. ერთი რეკორდი ეკიპაჟმა (და ცხადია ნავმაც) უკვე დაამყარა. ჩვენები ამდენხანს „ღია წყალში“ არასდროს ყოფილან. გრიგალს ნავმაც და ეკიპაჟმაც წარმატებით გაუძლო, თუმცა პროფილაქტიკა მაინც დასჭირდა.

ჯერჯერობით რბოლას ლიდერობს ახალზელანდიის „სტეინლაგერი“ (შკიპერი — პიტერ ბლეიკი) — პირველი ეტაპის ფინიშამდე მას 4532 მილი აქვს გასავლელი. შვეიცარიის „მერიტი“ მას 40 მილით ჩამორჩება. „ფაზისჰპეპსი“ მოცემული მომენტისთვის მეცამეტე პოზიციაზე იმყოფება (4773 მილი). 23 მონაწილიდან ბოლო ადგილზეა ინგლისის „ინტეგრიტი“ (4937 მილი).



ᲩᲔᲚᲔᲑᲘᲡᲘ - ᲛᲔᲠᲘᲢᲘᲡᲔᲚᲘ

კამგურჩი. ფრენბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს. მათ ნახევარფინალში იტალიის გუნდი დაამარცხეს — 3:0, ფინალში კი გდრ-ის ნაკრებს აჯობეს — 3:1.

მონტეკატინი (იტალია). მესტენდურეთა მსოფლიო ჩემპიონატში მრგვალ სტენდზე სროლაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა იტალიელმა კლაუდიო ჯოვანჯელომ (222 ქულა). იტალიელებმა გუნდური პირველობაც მოიგეს (425 ქულა). მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა ვაჟთა ასპარეზობა სასანგრო სროლაშიც. ოქროს მედლები წილად ხვდათ მარკო ვენტურინისა (217 ქულა) და იტალიის ნაკრებს (425 ქულა).

ათენი. იუნიორ ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში სსრ კავშირის ნაკრებმა აჯობა სამხრეთ კორეის გუნდს 3:0, კუბამ კი ბრაზილიას 3:2.

ვროცლავი. ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის (პოლონეთის ოქროს შემოდგომა) მეოთხედფინალში თბილისელი ვლადიმერ გაბრიჩიძე დამარცხდა პოლონელ ვოიცეხ კოვალსკისთან — 6:7, 6:7, 2:6.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. საერთაშორისო მოტოკროსი „მეგობრობის თასი“ მოიგო 24 წლის კანადელმა არნო ბერტრანმა, რომელმაც სამ ფინალურ სერიაში 9 ქულა დააგროვა.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲮᲙᲝᲛᲨᲘ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲔᲡ

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ კახიანი — მსოფლიო ჩემპიონია 20 წლამდე გოგონათა მორის! კოლუმბიიდან მოსულმა ამ ცნობამ ჭადრაკისა და საერთოდ ქართული სპორტის მოყვარულებს მართლაც უსაზღვროდ დიდი სიხარული მოუტანა. ქეთევანი ამ დღეებში შინ დაბრუნდა, გუშინ კი იგი საქართველოს სპორტსახკომში მიიწვიეს. სპორტსახკომის ხელმძღვანელებთან ამ ტრადიციულ შეხვედრაზე ხაზგასმით ითქვა, რომ ქეთევან კახიანს, ისევე როგორც სხვა ქართველ მოჭადრაკე გოგონებს შესწევთ უნარი მომავალშიც გაამდიდრონ ქართველ ქალთა საჭადრაკო სკოლა, ამისთვის კი საჭიროა დაუღალავი შრომა და ჭეშმარიტ პროფესიულ დონემდე ამაღლება.

ქეთევან კახიანს და მის მწვრთნელს გიორგი მაჭარაშვილს სპორტსახკომის ხელმძღვანელებმა შემდგომი წარმატებები უსურვეს.

ᲘᲬᲕᲔᲕᲔᲜ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲡ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 13 სექტემბერს, 17 საათზე, თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართება საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონების კლუბის დამფუძნებელი კრება, დამტკიცდება კლუბის წესდება და ჩატარდება არჩევნები.

დიდი რაგბის დღე ქუთაისში

დღეს ქუთაისის მთავარ სტადიონზე გაიმართება ქართული რაგბის ზეიმი. 18 საათიდან მოეწყობა ვეტერან მორაგბეთა, ლელობურთელთა, მორაგბე მამათა და შვილთა საჩვენებელი შეხვედრები, 18 საათსა და 30 წუთზე კი დაიწყება ტესტ-მატჩი (ოფიციალური შეხვედრა ეროვნულ ნაკრებთა დონეზე) საქართველოსა და ზიმბაბვეს გუნდებს შორის.

მეტოქეები ასეთი შემადგენლობით იასპარეზებენ:

საქართველო: 15. კახა მაჩიტიძე; 14. ალეკო ხვედელიძე, 13. ოლეგ ლიპარტელიანი, 12. მალხაზ ჭეიშვილი, 11. ბათლომე ხამაშურიძე; 10. ნუგზარ ძაგნიძე, 9. მამუკა ლოსაბერიძე; 1. ზაზა ბაკურაძე, 2. თენგიზ ტურძელაძე, 3. ბესარიონ ლილუაშვილი; 6. გია გიუნაშვილი, 4. თამაზ ოდიშარია, 5. თამაზ ხუადე, 7. დათო ღუდუშაური; 8. ალექსანდრე ნაჭყებია.

ზიმბაბვე: 15. ანდრე ბუიტენდაგი; 14. ჯულიან კამბა, 13. პიტერ მაიხთიგი, 12. მარკ ფლეთჩერი, 11. ქლიფ სმითი; 10. ენდი ფერეირა, 9. ერიკ ჰოფმაიერი; 1. დაგლას ვოთსონი, 2. პიტერ ალბახინი, 3. გრენთ დევიდსონი; 6. ფრედონ დრუსონი, 4. ქრის ბოთა, 5. ალისთერ მაკინტოში, 7. ჰოროვიილ ენგურივე; 8. მილტონ დიალა.

მსაჯი — ზენონას ბელიცკახი (ლიტვა).

ვრცელ მასალას საქართველოს ეროვნული ნაკრების შესახებ შემოგთავაზებთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში.



• • •

კვირას, საკავშირო ჩემპიონატის მატჩში, ქუთაისის „აიამ“ უმასპინძლა მოსკოვის „ფილის“, გაიმარჯვა ანგარიშით 30:7, 12 შესაძლებლიდან მოაგროვა 12 ქულა და ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტურით ადრე დამაჯერებლად ლიდერობს გთამაშობას.

„ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ - 98“

ᲡᲣᲚᲘᲗ და გულით ვუერთდები თქვენს იდეას. ბაკურიანისათვის ქართველ ხალხს აქამდეც უნდა მოეკიდა ხელი. კარგი იქნება თუ ამ იდეის განხორციელებას დაიწყებთ 90-მეტრიანი ტრამპლინის მშენებლობით, რომელსაც რა ხანია მოუთმენლად ელიან ქართველი მოთხილამურეები. მთელი ჩემი ოჯახი სიხარულით უერთდება ამ იდეას. თითოეული ჩვენგანი სიამოვნებით გადარიცხავს თვიურ ხელფასს საბანკო ანგარიშზე „ბაკურიანი-98“.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲫᲔ.

წალენჯიხა. (დეპეშით).

ᲓᲐᲕ აყვავდეს ბაკურიანი. მისი მშვენებლობის ფონდში შემატებ ერთი თვის ხელფასი.

ᲖᲘᲕᲘ ᲮᲐᲩᲘᲫᲔ,

გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ფიზიკურ-ზრდის კათედრის გამგე. (დეპეშით).

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ დაგვირეკეს და „ბაკურიანი-98“-ის ფონდში თითო თვის ხელფასის შეტანის სურვილი გამოთქვეს სპორტსახკომის თანამშრომლებმა ფ. ნავერიანმა, ა. სანაკოევმა, ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. ფრუიძემ, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვ. კანკავამ. საქართველოს ექიმთა ასოციაციის სამუშაო ჯგუფის წევრებმა, პერსონალურ პენსიონერს ვეტერან ა. პაიჭაძეს კი ერთი თვის პენსია შეაქვს ბაკურიანის ფონდში.

შენი შვილები ვართ, საქართველო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალს არ კითხულობთ, არა? დიახ, დიახ, სწორედ თქვენ მყავხართ მხედველობაში, პატივცემულო მკითხველებო. როგორც წესი, მოუთმენლად ავლებთ თვალს სტრიქონებს, ვიდრე შავი პეტიტით აწყობილ გვარს არ წააწყდებით, — იმ ადამიანის გვარს, ვისაც ინტერვიუს ართმევენ. ფიქრობთ, რომ ყველაზე მთავარი იქ იწყება, სადაც შესავალი მთავრდება.

რაღა დაგიმალოთ, მართალი ბრძანდებით.

ამიტომაც ყველაზე სულსწრაფებისთვის ვიტყვი, რომ გაზეთ „ლელოს“ დღევანდელი სტუმარია სახელგანთქმული წყალბურთელების — მშვენიერაძეების ოჯახი. ყველაზე ტიტულოვანი მათგან გიორგი გახლავთ, რადგან არ არსებობს ჯილდო, მას რომ არ ჰქონდეს — სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატებიც მოუგია და მსოფლიოსიც, მსოფლიო თასის მფლობელიც გამხდარა და ოლიმპიურ ოქროს მედალსაც დაუფლებია. და მაინც ყველაზე სახელგანთქმული ალბათ, ოჯახის უფროსი — პეტრე მშვენიერაძე გახლავთ. ვფიქრობ, მისი მედლები, თუმცა კი მათ შორის არ არის ყველაზე პრესტიჟული ოლიმპიური ოქროსი და არის მხოლოდ და მხოლოდ „ბრინჯაო“ და „ვერცხლი“, უფრო მაღალი სიხარისაა. იმიტომ, რომ ისინი მაშინ არის მიღებული, როცა წყალბურთი ჩვენს ქვეყანაში სულ რამდენიმე ათეულ კლუბს, რამდენიმე ასეულ მაღალკვალიფიციურ სპორტსმენს აერთიანებდა. პეტრე მშვენიერაძე სათავეებთან იდგა, პირველებს კი ყოველთვის უფრო უმძიმთ ხოლმე.

პეტრე მშვენიერაძე შვილიშვილებთან

მაგრამ არსებობს ისეთი რამ. რაც „კითხვა-პასუხში“ არ ეტევა, არსებობს გრძნობები და სწორედ ეს გრძნობები მინდა გადმოგცეთ, ვიდრე თქვენ ინტერვიუს კითხვას შეუდგებოდეთ. მინდა გითხრათ იმის შესახებ, როგორი უმადურები ვიყავით ჩვენ ყველანი — გულშემატკივრები და სპეციალისტები — იშვიათი გამონაკლისის გარდა, მშვენიერაძეების მიმართ. როგორ გვაღიზიანებდა და გვაგულისებდა ის, რომ ისინი, ქართველები, ქართველების წინააღმდეგ თამაშობენ. თითქმის არ ვგულშემატკივრობდით მათ! ჩემს არქივში საკმაოდ არის მშვენიერაძეებთან დაკავშირებული გულმოსული, ის კი არა, მუქარიანი წერილებიც კი. ერთ კირკიტა გულშემატკივარს ისიც კი აღუნუსხავს, რომ მაგალითად, ნუგზარ მშვენიერაძემ,' როცა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა, სსრკ ჩემპიონატის თბილისის ტურებში ყველაზე მეტი ბურთი სწორედ... თბილისის „დინამოს“ კარში გაიტანა. რატომ ხდებოდა ეს? ეს შეკითხვა მე სამივე მშვენიერაძეს დავუსვი და პასუხიც მივიღე.

მაგრამ არის შეკითხვა, რომელსაც ასე იოლად ვერ უპასუხებ. ახლა, როცა საქართველოში ეოკ-ი იქმნება, რაღა თქმა უნდა, დიდის გულმოდგინებით უნდა დაითვალოს ქართველ სპორტსმენთა წარმატებები საერთაშორისო სარბიელზე. მაგრამ გვეკუთვნის თუ არა ჩვენ საქართველოს გარეთ მცხოვრები ქართველების ძიერ მოპოვებული გამარჯვებები? ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საინიციატივო ჯგუფის წევრთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ საკითხთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილებით — ვთქვათ, ეკუთვნის თუ არა ბენ ჯონსონის (ბუნებრივია, დისკვალიფიკაციამდე) მშობლიურ იამაიკას მისი წარმატებები, თუკი იგი კანადის სახელით გამოდიოდა? ამგვარი ფაქტები ბლომად იყრის თავს, და ახლა მათი შესწავლა მიმდინარეობს.

მაშ, არის თუ არა ქართველი სპორტსმენების მიღწევათა ხაზინაში მშვენიერაძეების ოჯახის მედლები?

ეს ის კითხვა გახლავთ, რომელიც ჯერჯერობით ღიად რჩება.

● **ბატონო პეტრე, თუ გახსოვთ, უკანასკნელად როდის ჩამოგვართვეს ინტერვიუ გაზეთ „ლელოსთვის“?**

— დაახლოებით 30 წლის წინ! ალბათ სამოცდაერთ წელს, „ლელოს“ მაშინდელი რედაქტორი, კარგი ჟურნალისტი და კარგი კაცი — მიხეილ კაკაბაძე მესაუბრა. მაშინ სხვანაირი დრო იყო. მახსოვს, მაგალითად, რუბრიკით „იცით თუ არა თქვენ?“ გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამერიკის პრეზიდენტ ეიზენჰაუერს მხატვრული ლიტერატურის არც ერთი ნიმუში არ ჰქონია წაკითხული. როგორ და ვინ დაადგინა ეს, არავინ იცის. მიხეილ კაკაბაძემ პირველმა სცადა მართალი გაზეთი გამოევა.

● **რას შეეხებოდა ის საუბარი?**

— ძალიან კარგად მახსოვს, სულ ორი კითხვა იყო: რამ განაპირობა ქართველი წყალბურთელების არასტაბილური გამოსვლა საკავშირო ასპარეზზე და ხომ არ ვაპირებდი საქართველოში დაბრუნებას.

● **პასუხები როგორი იყო?**

— შეიძლება გაგიკვირდეთ, პირველი კითხვის პასუხი წლების განმავლობაში არ შეცვლილა. დიდი სპორტი მასობრიობას ეფუძნება. ამისთვის ბაზებია საჭირო. ბაზების საქმე კი ვერ არის კარგად, საქართველოს მონაცემები არ ვიცი, მოსკოვში, მაგალითად, ბავშვების 40-50 პროცენტი სპორტულ ფილტრებს გადის. უნგრეთში კი — 90 პროცენტი. რა თქმა უნდა, მათთვის ნიჭიერი ბავშვის დაკარგვა უფრო ძნელია, ჩვენთვის კი, ვამოდის, რომ — უფრო იოლი. ჰოდა, ჩვენც ვკარგავთ.

აი, ახლა მე და შენ აქ ვსხედვართ და მზეს ვეფიცხებით. მართლაც მშვენიერი აუზია არა, საწყლოსხო-სპორტული კომპლექსი? ცურვა ყველას უხდება, გოგონები ძალიან ლამაზები არიან, მე ცოტა რამ გამეგება ამაში... ბიუებიც შტანგას წევენ. ნამდვილად ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია თბილისში! რამდენი ასეთი აუზია საჭირო? ათი? ოცი?

ოღონდ, გთხოვ, არ მითხრა, თბილისის ზღვა ხომ არსებობს და იქ შეიძლება ცურვა. სწორედ გუშინ ვიყავი იქ — წყალში ვერ შეხვალ, ფსკერზე დამტვრეული ბოთლებია, პლაჟი კი ჭუჭყიანი და მოუვლელია. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას რომ მისცე ასეთი წყალსაცავი — სამოთხედ აქცევდა, ჩვენ კი...



ნუგზარი

● **მეორე კითხვაზე რა პასუხი გაეცით, თუ გახსოვთ?**

— მახსოვს, წყალში რომ შევდიოდი, თბილისელი გულშემატკივრები მისტვენდნენ. მართალია, მერე, როცა თამაში ეშხში შედიოდა და მეც „გავთამაშდებოდი“, ჩუმდებოდნენ, ვგრძნობდი, რომ გულშემატკივრებს თამაში მოსწონდათ და მაინც ვერ მპატიობდნენ, რომ მოწინააღმდეგე გუნდში ვთამაშობდი...

იცი, წყალბურთის თამაში თბილისში დავიწყე აგერ აქვე — სადაც ახლა რესტორანი „არაგვია“. ადრე აქ „ფიზკულტურელის“ პარკი იყო და იქვე — აუზი. მახსოვს, გოგოები კისრიდან მუხლებამდე დახურულ საბანაო კოსტუმებში დადიოდნენ. წყალი არ თბებოდა, ისე რომ ვარჯიში მხოლოდ ზაფხულობით თუ შეგვეძლო — 2-3 თვე. რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ კარგი სპორტსმენი გახდე, ეს ძალზე ცოტაა. ამიტომაც, როცა შევატყე, რომ რაღაც გამომდიოდა და მოსკოვში გადასვლა შემომთავაზეს, დავთანხმდი.

მერე კი... ყველაფერს, რასაც მივაღწიე, იმის წყალობით მივაღწიე, რომ ყველა პირობა შემიქმნეს. საქართველოში მაშინ ვერაფერს მომცემდნენ, და სიმართლე გითხრათ, არც მაინცდამაინც უნდოდათ მოეცათ. მაშინ, ომის შემდეგ, ჩვენთან ძირითადად ფეხბურთსა და უფრო ნაკლებად კალათბურთს მისდევდნენ. ნათელმხილველი უნდა ყოფილიყავი კაცი, რომ გეთქვა, ქართულ წყალბურთს მომავალი აქვსო. არავის არ უნდოდა სპორტის ამ სახეობისთვის ყურადღება მიექცია, ან სახსრები გამოეყო. ყველაფერი ერთეულ ენთუზიასტებზე იყო დამყარებული.

მერე ის დროც დადგა და საქართველოში დაბრუნება შემომთავაზეს, მაგრამ გვიან იყო. მე უკვე ჩამოყალიბებული პროფესიონალი სპორტსმენი ვიყავი და ასეთად შინ არ „მოვმწიფებულვარ“. საქმე იმაში კი არ არის, რომ მოსკოვური ბინა ან ნაკრების კაპიტნის პოსტის დატოვება შენანებოდა — არა, უბრალოდ, სხვა ნიადაგიდან გადარგული ხეები ვეღარ ხარობენ. როგორც ადამიანი, როგორც ქართველი, მე სამშობლოს არასდროს განვშორებივარ, და მე ვიცოდი, რომ ოდესმე, თუნდაც სიბერეში, ვალების გადახდის დრო დამიდგებოდა. ხოლო როგორც წყალბურთელმა, ვფიქრობ, ჩემი პატრიოტული გრძნობა კარგი თამაშით გამოვხატე.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მე არა მხოლოდ სსრკ ნაკრებს წარმოვადგენდი, არამედ, პირველ რიგში — საქართველოს. იმიტომ, რომ ქართველი ვარ!

● **ისტორია მეორდება. თქვენი ვაჟიშვილებიც თანამემამულეთა წინააღმდეგ თამაშობდნენ.**

— დიახ, და თანაც ეროვნულ გრძნობებთან დაკავშირებული ყოველგვარი შეღავათის გარეშე! ეს ჩემი პრინციპული პოზიცია იყო, და მე მიხარია, რომ ჩემი ვაჟიშვილები იზიარებენ მას. ქართველ გულშემატკივარს სრულად უნდა ვაჩვენოთ ჩვენი შესაძლებლობები. სახელს თითოეულ მატჩში უნდა ვამართლებდეთ. ქართველმა გულშემატკივრებმა უნდა იცოდნენ ჩვენი ფასი. ჩვენ ხომ მათთვის ვთამაშობთ.

● **ბატონო პეტრე, მე მესმის თქვენი პოზიცია. მაგრამ აი, რამდენიმე წლის წინ გიორგი მშვენიერაძეს თბილისის „დინამოში“ გადმოსვლა შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს. რატომ?**

— პირდაპირ რომ გითხრა, შერბილების გარეშე, დაწერ?

● **დიახ!**

— მერე გამოგიქვეყნებენ?

● **კი! თქვენ მითხარით, მე დავწერ — ჩემი რედაქტორი გამოაქვეყნებს.**

— გიორგი უკვე გამზადებული იყო, რომ იტყვიან, ჩემოდნებზე იჯდა. შინ ასე გამოგვიცხადა, თბილისში მივდივარო და უარი არავის უთქვამს. ჩემი მეუღლეც ხომ ქართველი გახლავთ, ისე რომ გიორგი „ასპროცენტიანი“ ქართველი გვყავს, თუმცა მოსკოვშია დაბადებული, პატრიოტული გრძნობა კარგად აქვს განვითარებული.

დაიწყო მოლაპარაკება. გიორგი მოსკოვის „დინამოში“ გამოდიოდა, სამხედრო მოსამსახურე იყო. სამხედროთა ცხოვრება არმიულ კანონებს ექვემდებარება. მაგრამ რესპუბლიკის მაშინდელმა სპორტულმა ხელმძღვანელებმა გადმოსვლის უცნაური ფორმა შესთავაზეს — გიორგის ყველაფერი უნდა მიეტოვებინა და თბილისში გადმოსულიყო. „კი, — ეუბნებოდნენ მას, — აუცილებლად დისკვალიფიკაციას მოგცემენ, მაგრამ შენ ვარჯიშს გააგრძელებ და სულ მალე შენს რეაბილიტაციასაც მივაღწევთ“... მაგრამ მეც სამხედრო კაცი ვარ და მშვენივრად მესმის, რომ ეს დეზერტირობაა და სხვა არაფერი. ეტყობა, გიორგის გადმოსვლაში დაინტერესებულ მხარეს ყველა ოფიციალურობის გაფორმებაც თავის თავზე უნდა აეღო. ერთი სიტყვით, გადმოსვლა გაჭიანურდა. და მაშინ დაიწყო მითქმა-მოთქმა, ვითომ გიორგიმ განგებ „მოიგონა“ თავისი გადმოსვლა, რათა რაც შეიძლება მეტი ეკონომიური სიკეთე „დაეკინცლა“. ამასთან ეს ხმები საქართველოში ზოგიერთი ოფიციალური პირებისგან მომდინარეობდა. ძალიან ულამაზო ისტორია გამოვიდა. მოკლედ გიორგი დარჩა.

● **...და აი, ახლა გიორგი იტალიაში მიემგზავრება.**

— დიახ, შემოდგომაზე იგი ტრიესტში გაემგზავრება. თუმცა ამაზე თვითონ გიამბობს.

გიორგი: ლაპარაკი ჩემი უცხოურ კლუბში მიწვევის შესახებ ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, მაგრამ მაშინ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ხელმძღვანელობის თანხმობა არ იყო. იტალიელები სხვებზე მარჯვეები გამოდგნენ. თანხმობას მიაღწიეს და ამ წლის მაისში მე კაპიტნის წოდებით თადარიგში გავედი, ისე რომ ახლა შემიძლია სადაც მინდა, იქ წავიდე. უახლოეს რვა თვეს ქალაქ ტრიესტში ვითამაშებ, ადგილობრივ კლუბ „ტრიესტინაში“. ხელშეკრულების თანხაზე ჯერ საბოლოოდ არ შეგვთანხმებულვართ. ცხოვრების პირობები კი, რომელსაც მთავაზობენ, უკვე ვიცი — ყველაფერი წესრიგშია.

გიორგი

● **იტალიურის საქმე როგორღა გაქვთ?**

— კადნიერებაში თუ არ ჩამეთვლება, იტალიურად ვლაპარაკობ.

● **კი. მაგრამ შენ ხომ ბავშვობიდან ესპანურს სწავლობდი...**

— ეს ერთი ჯგუფის ენებია, ისე რომ, არ გამჭირვებია, თანაც დიდი ენობრივი პრაქტიკა მელის, ერთი სიტყვით, ენა პრობლემას არ წარმოადგენს.

● **კეთილი, მაგრამ მარტოობას როგორღა გაუმკლავდები?**

— რა თქმა უნდა, ცოლი რომ მყავდეს თან წავიყვანდი. მაშინ თავს ისე ვიგრძნობდი, როგორც შინ — მე ხომ ქართველი ქალის შერთვა მინდა. გამგზავრებით კი მარტო მივემგზავრები...

● **ბატონო პეტრე, ალბათ საქმის ვითარებაში გარკვეული ბრძანდებით, რომ საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას ვაპირებთ?**

— კი, ბატონო, ვუყურე ეოკ-ის შექმნისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემას და ძალიან ბედნიერიც ვიყავი. მიმაჩნია, რომ ეს ძალზე საჭირო, მნიშვნელოვანი და დროული საქმეა. თვალს ვადევნებ თქვენი გაზეთის პუბლიკაციებს და ვხედავ როგორ მიიწევს სპორტული საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ დასახული მიზნისაკენ. თქვენს მომხრედ მიგულეთ, როგორც იურისტი, მზად ვარ ნებისმიერი შესაძლებელი დახმარება გაგიწიოთ.

გიორგი: ოლიმპიელ ჩემპიონთა კლუბი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან შეიქმნება, სრულიად ორიგინალურია. პირადად მე არასდროს არაფერი ამგვარი არ შემხვედრია. რა თქმა უნდა, სიხარულით შევალ ამ კლუბში, თუ მასში სხვაგან მცხოვრები ქართველი ჩემპიონების წევრობაც იქნება გათვალისწინებული...

პეტრე მშვენიერაძე: იქნებ კლუბთან ან თვით კომიტეტთან ოლიმპიელთა ლიგამ ან ასოციაციამაც იარსებოს? ჩვენ სამნი ჩუთ ოლიმპიადაში ვმონაწილეობდით. პატარა პეტრე და პავლე, რომლებიც, ალბათ, ასევე წყალბურთელები იქნებიან, ალბათ, საქართველოს სახელით გამოვლენ. მაშინ მათ მოუწევთ ჩვენი ოცნების განხორციელება... ღმერთმა ქნას!

ესაუბრა პეპი ბოჭორიშვილი.

შეუმჩნეველი არ დარჩენილა

ჩვენში ნიჩბოსნობის ჩამორჩენაზე ათასგზის ნათქვამი კიდევ ერთხელ დაადასტურა IV საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში მათმა უხეირო გამოსვლამ. ამიტომაა, რომ ნებისმიერი რანგის საკავშირო შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსნების მიერ ნაჩვენები მაღალი შედეგები გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს.

ახლახან ზაპოროჟიეში გაიმართა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობა, ჩვენი რესპუბლიკის ამ საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, იასპარეზეს სახალხო განათლების სამინისტროს მოსწავლე-ნიჩბოსნებმაც.

მოსწავლეთაგან თავი გამოიჩინეს ზურაბ კვინიკაძემ (მწვრთნელი ა. იოსავა) და იონა მილორავამ (ბ. მიქაძე), რომლებმაც ორადგილიანი კანოეთი 1000 მეტრზე რბოლაში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს. კვინიკაძემ (ერთადგილიანი კანოეთი) 250-მეტრიან დისტანციაზეც იყოჩაღა — იგი აქაც მეორე იყო. ეს წარმატება, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სპეციალისტებს — კვინიკაძე და მილორავა „შრომითი რეზერვების“ საკავშირო ნაკრებში ჩარიცხეს.

სხვა შედეგებიდან აღვნიშნავთ მებაიდარეების — კ. ტაბატაძისა და ზ. ვაზაგაშვილის IV ადგილს. ჩვენმა გუნდმა მოაგროვა 57 ქულა და გუნდურ ჩათვლაში V ადგილზე გავიდა. შედეგი იქნებ უკეთესიც ყოფილიყო, კოლექტივი გოგონებს რომ არ „დაეღალატებინათ“ — ისინი ერთობ უფერულად გამოვიდნენ.

ასეა თუ ისე, გუნდური V ადგილი საპატიო გახლავთ ჩვენი მოსწავლე-ნიჩბოსნებისთვის — კარგა ხანია, მათ ასეთი შედეგისთვის არ მიუღწევიათ. ამ ასპარეზობისთვის გუნდის მომზადებას ხელმძღვანელობდნენ სახალხო განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ნიჩბოსნობაში ვ. გრძელიშვილი და უფროსი მწვრთნელი ვ. გირდა.

ნანა ბოგოლაშვილი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

განვლილ შაბათს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 24-ე ტურის შეხვედრები.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 0:1 (0:0).

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 9 სექტემბერი.

„სპარტაკი“: ჩერჩესოვი, ბაზულევი, კულკოვი, მოროზოვი, პოზდნიაკოვი, ბოკი, კუზნეცოვი, პახულკო, შალიმოვი, ჩერენკოვი, როდიონოვი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, ჩიქოვანი, რევიშვილი (დარასელია, 87), ხვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია, კაჭარავა, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი ვ. პიანიხი (დონეცკი).

გააფრთხილეს ჭედია, მოროზოვი.

დუბლიორები — 0:0.

თბილისის „დინამოს“ მიერ მოპოვებულმა გამარჯვებამ საკავშირო ჩემპიონატის აღიარებულ ლიდერ მოსკოვის „სპარტაკთან“ ლუჟნიკის სტადიონზე არ შეიძლება კმაყოფილებისა და სიხარულის გრძნობა არ გამოიწვიოს თითოეულ ჩვენგანში, ვინც კი ასე დაინტერესებულია ჩვენი გუნდის ბედ-იღბლით, მისი აწმყოთი და მომავლით. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ დინამოელებს ახლა ისევ უჭირთ, ბოლო წლების ტრადიციის შესატყვისად, ისინი კვლავ აუტსაიდერთა შორის იმყოფებიან და კვლავ და კვლავ დაბალ ლიგაში ჩამოქვეითების უშუალო ხიფათის თავიდან ასაცილებლად იბრძვიან. ყველაფერი ეს კარგად ცნობილია, ამიტომაც თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრები თითებზე ითვლიან ყველა იმ სავარაუდო ქულას, რომელთა აღების შესაძლებლობაც გუნდს აქვს. თბილისის „დინამოს“ ეს კრიზისი ქრონიკული და ხანგრძლივი გახდა, ბოლო გამარჯვება წლევანდელ ჩემპიონატში დინამოელებმა დიდი ხნის წინ, 2 ივნისს მოიპოვეს საკუთარ მინდორზე. მეორე წრეში მოგება მათ საერთოდ არ ჰქონიათ და ამ ეტაპზე ჩატარებული 7 მატჩიდან მხოლოდ 4 ქულა აქვთ აღებული. ყველაფერი ეს იმდენად მწირი, მოკრძალებული მაჩვენებლებია, რომ ჩვენი გუნდის გაჭირვებას აშკარად არ ყოფნის. ყოველ შემთხვევაში, ბოლო ხანების საერთო შენაძენი ისე მცირეა, რომ მხოლოდ მინიმალურ კატეგორიას განეკუთვნება, მინიმუმით კი, მოგეხსენებათ, ზორს ვერ წავალ. და აი, ამგვარი აშკარად ჩამოყალიბებული კრიზისის პროცესში პირველი გამარჯვება წლევანდელ სეზონში მეტოქის მინდორზე, თანაც გამარჯვება მოსკოვის „სპარტაკთან“, რომელიც გათამაშების ლიდერია და ჩემპიონის წოდების საბოლოო განაღდებამდე იოლად არავის არაფერს არ დაუთმობს. გარდა ამისა, იგი უეფა-ს თასის გათამაშებისთვის ემზადება, მეტოქედ აქ მას იტალიის ქალაქ ბერგამოს ცნობილი „ატალანტა“ ჰყავს, ასეთი საპასუხისმგებლო მატჩებისთვის სამზადისის პროგრამით კი სპარტაკელებს მთელი თავიანთი სიძლიერით უნდა ეთამაშათ თბილისის „დინამოსთან“.

შესაძლოა მოსკოვის „სპარტაკმა“ ეს მატჩი თავის შესაძლებლობებზე დაბლა ჩაატარა, გუნდმა შთამბეჭდავად ვერ ითამაშა, ვერაფრით გამოიჩინეს თავი ვერც ნახევარდაცვის მოთამაშეებმა და ვერც თავდამსხმელებმა, უინიციატივოდ გამოიყურებოდა გუნდის მთავარი ბომბარდირი როდიონოვი, ვერც ჩერენკოვმა და შალიმოვმა ითამაშეს რიგიანად. დავა იმის თაობაზე, რომ ეს სპარტაკელთა საუკეთესო მატჩი არ იყო, ზედმეტად და უადგილოდ მიგვაჩნია. „სპარტაკი“ ვალდებული იყო საკუთარი აუდიტორიის წინაშე მთელი შესაძლებლობით, მთელი ძალით ეთამაშა და თუ მან ეს ვერ შეძლო, ეტყობა, იმის გამო, რომ თბილისის დინამოელებმა გამოიღეს ამ დღეს ხელი და მასპინძლებს არ მისცეს გამარჯვებისთვის ბრძოლის საშუალება. მატჩის მსვლელობა ტელევიზიით გადასცეს და ყველამ ცხადად იხილა, რომ დინამოელებმა ლიდერთან ითამაშეს თამამად, ძლიერად, ინდივიდუალურად მაღალ საშემსრულებლო დონეზე და ამავე დროს კოლექტიურადაც, ერთმანეთის გეგმიანი, რაციონალური დაზღვევით.

ერთი წუთითაც არ გვინდა დავუშვათ ის, რომ ამ ძნელი და მეტად საჭირო გამარჯვებით დაიწყო თბილისის „დინამოს“ აღმავლობის გზა, რომ ჩვენი გუნდის ყველა ურთულესი პრობლემა ასე უცბად და ერთი ხელის მოსმით გადაიჭრა, რომ მომავალში მისგან მხოლოდ ახალ და ახალ წარმატებებს უნდა ველოდოთ. ასეთი რამ ფეხბურთში არ ხდება. ამგვარი კრიზისიდან თავის დაღწევას დიდი დრო და შრომა ესაჭიროება. მაგრამ შესაბამისად რომ არ აღინიშნო დინამოელთაგან თვით ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატის დამარცხება მისივე მინდორზე, საგანგებოდ ხაზი არ გაუსვა მეტოქის მინდორზე პირველ გამარჯვებას ასეთ საჭირო ვითარებაში, უბრალოდ, უმადურობა იქნებოდა ჩვენი გუნდის მიმართ, რომელმაც არა მარტო სტადიონის ტრიბუნებზე მსხდომთ, არამედ ვეება ტელეაუდიტორიასაც დაუმტკიცა, რომ მისი საერთო პოტენციალი ჯერ კიდევ სიმედოა, რომ საერო მონდომებით და მოწადინებით მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია.

სპარტაკელები ამ მატჩში ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფრით ვერ ჩადგნენ ჩვეულ კალაპოტში, ვერ მიაგნეს საკუთარ თამაშს, მათ დაცვაშიც ხშირი შეცდომები მოსდიოდათ და შეტევასაც ვერ ამთავრებდნენ როგორც ეს საჭიროა.

და, პირიქით, თბილისის „დინამოში“ ვერ გამოარჩევ ვერც ერთ ფეხბურთელს, რომელმაც მთელი შესაძლებლობებით არ იბრძოლა და თავისი წვლილი არ შეიტანა გამარჯვებაში. პირველივე წუთებიდან დაწყებული დინამოელები მოქმედებდნენ შეთანხმებულად, კოლექტიურად, მათი გამარჯვება სავსებით დამსახურებული, დამაჯერებელია, რამდენიმე მეტად სახიფათო ბურთი მოიგერია გაბელიამ, სპარტაკელთა კონტრიერიშებისას თითქმის არ მოსვლიათ შეცდომა ჩვენს მცველებს, ბევრი იშრომეს ნახევარმცველებმა, ხოლო ქეცბაიამ, კაჭარავამ და გოგიჩაიშვილმა საკმარისად შექმნეს სახიფათო მომენტები მეტოქის კართან.

და, მაინც, აუცილებელი აღნიშვნის ღირსია ის გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა „დინამოს“: გოგიჩაიშვილმა შუა მინდვრიდან წამოიწყო შორეული რეიდი, დრიბლინგით გვერდი აუარა სპარტაკელთა რამდენიმე მოთამაშეს, ბურთიანად კაიარა დაახლოებით 30-35 მეტრი, შევიდა მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე და ზუსტად დაარტყა შორეულ დაბალ კუთხეში. ჩერჩესოვის ნახტომმა საქმეს ვერ უშველა — 1:0. გოლი ეფექტური და ოსტატური იყო.

მაგრამ ერთი საქმეა გაიტანო ბურთი და სულ სხვა, კიდევ უფრო ძნელი — შეინარჩუნო გამარჯვება მაშინ, როცა მეტოქე მთელ თავის ძალებს გადაისვრის მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ ვითარებაში საჭირო იყო ნებისყოფის სიმტკიცისა და მაღალი კლასის გამოჩენა, თბილისის „დინამომ“ ეს შეძლო და გამარჯვებაც მოიპოვა.

კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ არ ვლაპარაკობთ თბილისის „დინამოს“ პრობლემების საბოლოო გადაჭრაზე. მოსკოვის „სპარტაკის“ დამარცხება ეს მხოლოდ ეპიზოდია, მაგრამ მეტად საჭირო, სასარგებლო და საიმედო ეპიზოდი. სულ მალე, 17 სექტემბერს ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა გვაქვს დონეცკში, „შახტიორმა“ კი განვლილ ტურში საკუთარ მინდორზე დამარცხება იწვნია „არარატისგან“. ცხადია, დონეცკელი ფეხბურთელები მთელი ძალით იბრძოლებენ თავიანთი გულშემატკივრების წინაშე რეაბილიტაციისთვის და მით უფრო მომზადებულნი და ბრძოლისუნარიანნი უნდა იყვნენ დინამოელები მოსალოდნელ მატჩში.

რაც შეეხება „სპარტაკთან“ შეხვედრას, ყველა გულშემატკივრის სახელით გვინდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივს მადლობა გადავუხადოთ კარგი თამაშისთვის.

ამ ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:

„დნეპრი“ — „პამირი“ 2:0, „დინამო“ კ. — „დინამო“ მნ. 2:0, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მ. 2:2, „უალგირისი“ — „ლოკომოტივი“ 0:0.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი	მდგომარეობა 12 სექტემბრისთვის					
	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	24	14	8	2	42-15	36
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	24	13	5	6	32-22	31
„უალგირისი“ (ვილნიუსი)	24	12	6	6	31-22	30
„დინამო“ (კიევი)	24	10	10	4	29-17	30
„ტორპედო“ (მოსკოვი)	24	9	10	5	26-18	28
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	24	9	8	7	26-23	26
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	24	8	9	7	28-29	25
„დინამო“ (მოსკოვი)	24	7	10	7	28-23	24
„დინამო“ (მინსკი)	24	9	5	10	27-26	23
„არარატი“ (ერევანი)	24	8	5	11	23-32	21
„როტორი“ (ვოლგოგრადი)	23	7	7	9	21-25	21
„პამირი“ (დუშანბე)	24	6	8	10	17-29	20
„დინამო“ (თბილისი)	23	5	10	8	18-22	20
„შახტიორი“ (დონეცკი)	24	7	4	13	17-25	18
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	24	4	7	13	12-26	15
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	24	3	8	13	16-39	14

I ლიგა

9 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 31-ე ტურის შეხვედრები.

ახალ წარმატებას მიაღწია ლანჩხუთის „გურიამ“, რომელმაც მიიღო რიგის „დაუგავა“. როგორც ჩვენმა ლანჩხუთელმა კორესპონდენტმა **ავთანდილ ორმოცაძემ** ტელეფონით შეგვატყობინა, მასპინძელთა უპირატესობა უდავო და აშკარა იყო, ლანჩხუთელი ფეხბურთელები კვლავ წარმატებით იბრძვიან უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად და თუ გავითვალისწინებთ, რომ მათმა მთავარმა მეტოქეებმა ცსკა-მ და „კაირატმა“ განვლილ ტურში ქულები დაკარგეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ჩვენი გუნდის შანსები კიდევ უფრო ცხადად გამოიკვეთა.

„დაუგავასთან“ შეხვედრაში პირველ წარმატებას „გურიამ“ დასაწყისშივე მიაღწია, როცა რიგელთა საჯარიმო მოედანზე გასული დოზმოროვი მცველებმა ხელით შეაჩერეს, არბიტრმა 11-მეტრიანი დანიშნა და ჟორდანიამ ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0.

შესვენების შემდეგ ლანჩხუთელები კიდევ უფრო მეტი მონდომებით, მწყობრად მოქმედებდნენ. ერთ-ერთი შეტევისას თავი გამოიჩინა დოზმოროვმა, შემდეგ კი ფრიდონაშვილმა და ცომაიამ ზედიზედ გაიტანეს კიდევ ორი გოლი. ყველაფერი ეს მოხდა 52-ე წუთისთვის, მატჩის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო, თუმცა, რიგელები ბევრს ეცადნენ პრესტიჟის გოლის გასატანად. საამისო შესაძლებლობა მიეცათ დრუპასს, ტეპლოვს, მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს „მშრალი“ ანგარიშის შენარჩუნება.

ლანჩხუთის „გურიის“ ყველა ფეხბურთელი მოწონებას იმსახურებს კარგი თამაშისთვის და იმ მონდომებისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ ლიდერთა შორის გაჩაღებულ ძნელ ბრძოლაში.

რიგის „დაუგავასთან“ „გურიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: აბუსერიძე (ქანთარია), ტყემუჩავა, ოლეფირენკო, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, ჟორდანია (ბარათაშვილი), დოზმოროვი, კორტალიძე, ფრიდონაშვილი, გურული (უგრელიძე). მსაჯი ა. საფონოვი (მოსკოვი).

• • •

ალმა-ათის „კაირატმა“ ამ ტურში შინ მარცხი განიცადა აბოვიანის „კოტაიკთან“ შეხვედრაში — 0:1, ხოლო ცსკა-მ ვორონეჟში ქულა დაკარგა „ფაკელთან“ — 0:0.

ქუთაისის ტორპედოელებმა წარუმატებლად ითამაშეს ტაშკენტში და „ფახთაქორთან“ მარცხი იწვნიეს — 1:5.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „ნეფთჩი“ (ბაქო) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 5:3, „დინამო“ (სტავროპოლი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 1:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:0, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 3:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	30	20	6	4	78-20	46
„გურია“	29	18	6	5	51-24	42
„კაირატი“	30	17	6	7	53-24	40
„ფახთაქორი“	30	14	7	9	47-25	35
„ნეფთჩი“	30	13	9	8	40-31	35
„დინამო“ სტ.	29	12	11	6	35-27	35
„ფაკელი“	29	13	8	8	32-21	34
„გეოლოგი“	30	14	5	11	36-32	33
„ნისტრუ“	30	15	2	13	35-45	32
„მეტალურგი“	29	13	6	10	41-28	32
„კოტაიკი“	29	10	10	9	32-24	30
„ტორპედო“	28	12	4	12	11-42	28
„ტავრია“	29	10	8	11	41-41	28
„როსტსელ.“	29	9	10	10	28-30	28
„შინიკი“	30	9	9	12	31-48	27
„სპარტაკი“	30	9	7	14	37-45	25
„დინამო“ ბ.	30	9	7	14	29-47	25
„ყუბანი“	30	9	6	15	29-55	24
„კუზბასი“	30	6	10	14	16-32	22
ასკ რ.	29	7	6	16	37-54	20
„დაუგავა“	30	5	5	20	17-54	15
ასკ „კარპ.“	30	4	6	20	27-64	14

„გურია“ — ახლომსი ამოცანები

პირველი ლიგის საკავშირო გათამაშებაში ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელები კარგა ხანია ლიდერთა ჯგუფში იმყოფებიან მოსკოვის არმიელებთან და ალმა-ათის „კაირატთან“ ერთად. ლანჩხუთელები უმაღლესი ლიგის საგზურისთვის იბრძვიან.

გუნდის სამომავლო გეგმებზე ვთხოვეთ მოეთხრო ლანჩხუთელთა მთავარ მწვრთნელს **მიხეილ ფომენკოს.**

● წელს თქვენს გუნდს უმაღლეს ლიგაში დაბრუნების კარგი შესაძლებლობა მიეცა. რას გვეტყვით კოლექტივის სამომავლო გეგმებზე?

— „გურია“ ყველანაირად ცდილობს, რათა კვლავ უძლიერესთა რიგებს დაუბრუნდეს. საამისო სურვილიცა გვაქვს და პოტენციაც, მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა. ძლიერი კონკურენტები გვყავს „კაირატის“, ფახთაქორის“, „ფაკელის“, „ნეფთჩის“ და სტავროპოლის „დინამოს“ სახით, სწორედ მათთან დავაში გაირკვევა თუ ვინ დაეუფლება უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ საგზურს. ზემოთ ჩამოთვლილ კლუბებს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობანი ჰყავთ, მათ არც გამოცდილება აკლიათ. ყველაფერი უნდა ვიღონთ. რათა ტოლი არ დავუდოთ ძლიერ მეტოქეებს.

● „გურიას“ გათამაშების ბოლო მატჩების ჩატარება სახლში უწევს. იმედია ამ შანსს გუნდი მაქსიმალურად გამოიყენებს და მოგროვებს ქულათა საჭირო მარაგს.

— ბოლო შეხვედრებში ჩვენი უშუალო კონკურენტები „კაირატი“ და „ფახთაქორი“ ლანჩხუთში ჩამოდიან, რაც, თავისთავად, ბევრს ნიშნავს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ამ მატჩებში ქულათა მაქსიმუმი ავიღოთ. რაღა თქმა უნდა, შინაური კედლებისა და ჩვენი გულშემატკივრების იმედიც გვაქვს, რომელთა მხარდაჭერასაც ყოველთვის ეგრძნობთ.

● რაიმე სერიოზული პრობლემა ხომ არაა გუნდში?

— მცირე პრობლემები ნებისმიერ გუნდშია, მთავარია დარჩენილ მატჩებში სერიოზულმა ტრავმებმა ხელი არ შეგვიშალოს.

● ვის გამოჰყოფდით „გურიის“ შემადგენლობიდან? ვინ გამოიჩინა თავი წლევანდელ მატჩებში?

— მთელი სეზონი კარგად თამაშობენ წამყვანი ფეხბურთელები, საუკეთესო ფორმაშია გბა გურულიც, რომელმაც კარგი გამოცდილება მიიღო თბილისის „დინამოში“ გამოსვლისას, მისი დიდი იმედი გვაქვს.

ესაუბრა მზია მებაღიშვილი.

„ივერია“ — „ავრორა“

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საქალაქთაშორისო შეხვედრა ფეხბურთელ ქალთა გუნდებს შორის: თბილისის „ივერიამ“ ლენინგრადის „ავრორას“ უმასპინძლა.

გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, XXIV ტურის შეხვედრები: პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 0:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „დინამო“ (გაგრა) 0:2, „დურუჯი“ (ყვარელი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სპარტაკი“(ცხინვალი) 3:2, „არმაზი“ (მცხეთა) — „სიონი“ (ბოლნისი) 2:0, „ივერია“ (ხაშური) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:0, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:3.

გასულ კვირას შედგა რესპუბლიკის ჩემპიონატის გამოტოვებული შეხვედრები: პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ჯრმეზი“ (მცხეთა) 2:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სიონი“ (ბოლნისი) 5:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „დინამო“ (გაგრა) 1:0.

ბრაზილიელები — ფინალში

1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბრაზილიისა და ჩილის გუნდებს შორის რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ სტადიონზე თამაშის 70-ე წუთზე, როცა ბრაზილიელები წინ იყვნენ ანგარიშით 1:0, ტრიბუნიდან მინდორზე ნასროლი მაშხალა სტუმრების მეკარის რახასის გვერდით დაეცა, ჩილელმა ფეხბურთელებმა არ ისურვეს თამაშის გაგრძელება და მინდორი დატოვეს.

ეს ინციდენტი განიხილა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ. თამაშის თვითნებური მიტოვებისთვის ჩილელთა გუნდს ანგარიშით 0:2 ჩაეთვალა დამარცხება, სამხრეთ ამერიკის III შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება გაიხადეს.



იტალია-90

მსოფლიო ჩემპიონატი

ეკვადორისა და კოლუმბიის გუნდების შეხვედრა (სამხრეთ ამერიკა, II ჯგუფი) ეკვადორის ქალაქ გუაიაკილში ფრედ დამთავრდა — 0:0.

კოლუმბია	3	1	1	1	3-2	3
პარაგვაი	1	1	0	0	2-1	2
ეკვადორი	2	0	1	1	0-2	1

10 სექტემბერს პარაგვაელები შინ მიიღებენ ეკვადორის გუნდს. გამარჯვების შემთხვევაში ისინი პირველ ადგილზე გადიან შესარჩევ ჯგუფში და შემდეგ ორ მატჩში უნდა შეხვდნენ ისრაელის გუნდს. აქ გამარჯვებული მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებას.

საასპარტაკიადო ზამთრის კონტურები

თითქოს სულ ახლახან იყო საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშების ციებ-ცხელება და აი უკვე, შეიძლება ითქვას, სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის VII სპარტაკიადის კონტურები მოჩანს. თებერვალ-მარტში უკრაინის, ციმბირისა და ბალტიისპირეთის ქალაქებში გაიმართება ამ დიდი სტარტის ასპარეზობანი. რიგით მეშვიდე სპარტაკიადის პროგრამაში სპორტის 14 სახეობაა შეტანილი, მათ შორის ახალი სახეობები, — ბობსლეი, ფრისტაილი, ნატურბანი, შორტრეკი. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები 6 სახეობაში გამოვლენ: სამთო-სათხილამურო სპორტში, ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში, საციგაო სპორტში, ფიგურულ ციგურაობაში, ფრისტაილსა და ნატურბანში.

თუ რა მდგომარეობაა საქართველოს ნაკრებ გუნდებში ამ სპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ, ამის შესახებ საუბარი იყო ამ დღეებში ბაკურიანში გამართულ თათბირზე. საქართველოს სპორსახკომიტეტის ზამთრის სახეობების განყოფილების გამგემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ფერნბექს ნავერიანმა შეკრებილთ გააცნო ხალხთა VII სპარტაკიადის დებულება, ილაპარაკა ჩვენი გუნდების ამოცანებზე, გააკეთა პირველი პროგნოზები. ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გერა აბრამიშვილმა (სამთო-სათხილამურო სპორტი), თამაზ ქუმარიტაშვილმა (საციგაო სპორტი), ფელიქს ქუმარიტაშვილმა (ნატურბანი), სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა საქართველოში, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კობა წაქაძემ (ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა) ილაპარაკეს რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადებაზე დიდი სპარტაკიადის წინ. თავიანთი სპორტული სკოლების მუშაობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდნენ საკავშირო კატეგორიის მსაჯ ალბერტ თიბილური (რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლა) და სპორტის ოსტატი გიორგი ჯიჩოევი (გლდანის სპორტინტერნატის ზამთრის სახეობების ფილიალი).

თათბირის მუშაობა შეაჯამა და VII ზამთრის საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტული დელეგაციის ამოცანები დასახა რესპუბლიკის სპორტსახკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ჯანსუღ ბაგრატიონმა.

„ლელოს“ კორ.

ბაკურიანი.

ჩემპიონი ჩემპიონატისთვის ემზადება

ანდერი (საფრანგეთი). კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დაწყების წინ გუნდები სხვადასხვა საერთაშორისო და საკავშირო ტურნირში მონაწილეობენ, წინასაჩემპიონატო სამზადისი შარშანდელი სეზონის ოქროს მედალოსანმა კიევის „ბუდიველნიკმა“ (ყოფილმა „სტროიტელმა“) საფრანგეთში დაამთავრა. აქ გაიმართა ტურნირი, რომელშიც საბჭოთა გუნდის გარდა საფრანგეთისა და ბელგიის კლუბები მონაწილეობდნენ.

ნახევარფინალში „ბუდიველნიკმა“ 14 ქულით აჯობა მასპინძელთა კოლექტივს „მონპელიეს“ — 128:114 (68:58), ფინალში კი მისი მეტოქე იყო ევროპაში პოპულარული კლუბი „ლიმოჟი.“ ბრძოლა ამჯერად უფრო მძაფრი და საინტერესო გამოდგა. საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველი ტაიმი მასპინძლებმა 2 ქულით მოიგეს (57:55). ბრძოლა შესვენების შემდეგაც დაძაბული იყო, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც „ბუდიველნიკს“ დარჩა — 116:114.

ისევ გრაფი და ნავრატილოვა

ნიუ-იორკი. აშშ-ს ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრებში პრინციპულ ხასიათს ატარებდა შტეფი გრაფისა (გფრ) და მარტინა ნავრატილოვას (აშშ) ორთაბრძოლა. პირველი პარტია ამერიკელმა მოიგო — 6:3 მეორეში გამარჯვება გრაფს დარჩა 7:5. გადამწყვეტ პარტიაში ნავრატილოვამ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ახალგაზრდა მეტოქეს და გრაფმა შედარებით იოლად გაიმარჯვა — 6:1.

ვაჟთა ტურნირის ნახევარფინალებში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. უმბლდონის წლევანდელმა ჩემპიონმა ბორის ბეკერმა (გფრ) ამერიკელ აარონ კირკშტეინს აჯობა, ივან ლენდლმა კი მეორე ამერიკელს ანდრე აგასის.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ვეტერან ჩოგბურთელთა გამოსვლებმა. ქალთა წყვილების ფინალში გავიდნენ საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრების მწვრთნელი ოლგა მოროზოვა და ამერიკელი ჯონ რასელი. მათი მეტოქეები იყვნენ უენდი ტერნბოლი (ავსტრალია) და ვირჯინია უეიდი (აშშ). ამ დუეტმა მოიპოვა გამარჯვება — 6:1, 6:0.

II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, 34-ე ტურის შეხვედრები: „ნარტი“ (ჩერკესკი) — „ტერმისტი“ (ბაქო) 5:0, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „დინამო (მახაჩყალა) 1:0, „ხაზარი“ (სუმგაითი) — „გოიანი“ (ყაზახი) 1:1, „ხაზარი“ (ლენქორანი) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:0, „დინამო“ (სოხუმი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1, „კოლხეთი“ (ხოში) — „დილა“ (გორი) 3:2, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ყარაბაღი“ (აგდამი) 1:0, „მერცხალი“ (ოზურგეთი) — „ქიაფაზი“ (კროვაბადი) 1:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) 2:1, ომც (თბილისი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) 0:3, „ტორპედო“ (ვოლჟსკი) — „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) 0:0.

მსოფლიო თასის გათამაშება მძლეოსნობაში

ფავორიტებმა გაიმარჯვეს

როცა ტურნირის საბოლოო შედეგი ადრე გამოთქმულ პროგნოზს ემთხვევა, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ შეჯიბრებამ დაგეგმილი სცენარით, უინტერესოდ ჩაიარა. მძლეოსნობაში საერთო გუნდური ბრძოლა — ეს, ფაქტობრივად, უხილავი ტურნირია, თვალით დასანახი კი ცალკეულ დისციპლინებში გამართული ბრძოლაა, რომელიც ბარსელონაში მეტად მწვავე და საინტერესო იყო. რად ღირდა თუნდაც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, მრავალგზის რეკორდსმენის, ორჯერ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარებული სებასტიან კოეს (დიდი ბრიტანეთის ნაკრები) გამოსვლა 1500-მეტრიან დისტანციაზე. კოეს განზრახული აქვს დაასრულოს თავისი ბრწყინვალე სპორტული კარიერა და პოლიტიკაში სცადოს ბედი, ამიტომ მას ძალიან სურდა ეს წასვლა გამარჯვებით აღენიშნა, რისთვისაც მთელ თავის ძალასა და ოსტატობას მოუხმო, მაგრამ მაინც დამარცხდა ახალგაზრდა სომალელ მორბენალ აბდი ბილესთან (აფრიკის ნაკრები), რომელმაც 3.35,51 აჩვენა.

როგორც ადრე ვწერდით, აფრიკის ნაკრებმა ვერ შეინარჩუნა ტურნირის დასაწყისში მოპოვებული ლიდერის პოზიცია. მძლეოსნობა „შავ კონტინენტზე“ ჯერ თანაბრად არ არის განვითარებული, უბრწყინვალესი შავკანიანი მორბენლების გვერდით ჯერ კიდევ იხილავთ სხვა დისციპლინებში მოასპარეზე მათ თანამემამულეებს, რომლებიც ღიმილის მომგვრელ შედეგებს აჩვენებენ.

მსოფლიო თასის გათამაშებაში კვლავ შესანიშნავად გამოვიდა აშშ-ის ნაკრები. მათმა სპრინტერებმა, მხტომელებმა და თარჯმორბენლებმა საკმაოდ დამაჯერებლად გახაპიროობეს თავისიანების წარმატება.

ქალთა შორის გდრ-ის კოლექტივის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ დანარჩენი გუნდებისთვის პირველი ადგილი მიუწვდომელ ოცნებად ჩანდა. მეორე ადგილს კი ერთმანეთს ეცილებოდნენ სსრ კავშირის, აშშ-ისა და ევროპის ნაკრებები, ამ დავაში, როგორც უკვე ვთქვით, საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა, ოღონდ ისიც უნდა აღინიშნოს რომ დიდი მარცხი შეემთხვა „თეთრფორმიანებს“ (ევროპის ნაკრების ტრადიციული სამოსი). 4X400 მეტრზე ამანათრბეში მათი გუნდი, რომელმაც III ადგილი დაიკავა, წესის დარღვევის გამო შეჯიბრებიდან მოიხსნა და ამ სახეობაში ნული შეფასება დაამსახურა.

საბჭოთა ნაკრები მეორე ადგილზე კი გავიდა, მაგრამ მისი გამოსვლა დიდ წარმატებად მაინც ვერ ჩაითვლება; გუნდის წევრებმა მხოლოდ ერთადერთ დისციპლინაში გაიმარჯვეს, გალინა ჩისტიაკოვა სიგრძეზე ხტომაში პირველობდა — 710 სმ.

ბარსელონის ოლიმპიურ სტადიონზე არც ერთი რეკორდი არ დამყარებულა (ეროვნულ მიღწევას არ ვგულისხმობთ), რაშიც ალბათ წვიმაც შეასრულა გარკვეული როლი. თუმცა ბრძოლას, კიდევ ვიმეორებთ, სიმწვავე არ აკლდა. სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის ძალზე დამაჯერებლად გაიმარჯვა ახალგაზრდა კუბელმა მხტომელმა სილვია აკოსტამ — 204 სმ. მისი სახელოვანი თანამემამულე, მსოფლიო რეკორდსმენი ხავიერ სოტომაიორი ი ტრავმის გამო იძულებული გახდა გამოსვლა შეეწყვიტა. გამარჯვებით კი შვედმა პატრიკ შიობერგმა გაიმარჯვა — 234 სმ.

ევროპული ტურნირების ირგვლივ

ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების ისტორია 1955 წლიდან იღებს სათავეს, დღემდე გაიმართა 94 გათამაშება: 34 ჩემპიონთა თასზე, 29 — თასების მფლობელთა თასზე და 31 — უეფა-ს თასზე (იგი 1972 წლამდე ბაზროობათა თასის სახელწოდებით იყო ცნობილი).

ევროპის 15 ქვეყნის 49 გუნდი სხვადასხვა დროს საპატიო პრიზების მფლობელი იყო, აქედან მხოლოდ ერთი — ტურინის „იუვენტუსი“ არის სამივე ტურნირში გამარჯვებული. 12 კლუბმა წარმატებას მიაღწია ორ-ორ ტურნირში, მათ შორის იტალიის „მილანი“, ჰოლანდიის „აიაქსი“, გფრ-ის „ბაიერნი“ და „ჰამბურგი“ ფლობდნენ ჩემპიონთა თასს და თასების მფლობელთა თასს; ესპანეთის „რეალი“ (მადრიდი), ჰოლანდიის „ფეიენოორდი“, „ეინდჰოვენი“ და ინგლისის „ლივერპული“ — ჩემპიონთა თასს და უეფა-ს თასს. ინგლისის „ტოტენჰემი“, ბელგიის „ანდერლეჰტი“, ესპანეთის „ბარსელონა“ და „ვალენსია“ — თასების თასს და უეფა-ს თასს.

ევროპულ ტურნირებში მოგებული პრიზების რაოდენობით ლიდერობს მადრიდის „რეალი“ — 8-ჯერ (6 — ჩემპიონთა თასზე, 2— თასების თასზე), 6-6 მოგება აქვთ „ლივერპულს“ (4 ჩემპ. თასზე და 2 — უეფა-ს თასზე) და „ბარსელონას“ (3-3 თასების თასზე და უეფა-ს თასზე).

მადრიდის „რეალი“ პირველ ადგილზეა დაგროვებული ქულების მიხედვითაც.

1. „რეალი“	33	225	297
2. „ბარსელონა“	33	220	281
3. „იუვენტუსი“	28	188	246
4. „ბაიერნი“	21	160	215
5. „ბენფიკა“	30	168	204
6. „ინტერი“	27	164	199
7. „ლივერპული“	21	140	194
8. „ანდერლეჰტი“	29	159	193
9. „კოლნი“	23	147	182
10. „აიაქსი“	26	133	171

შენიშვნა: პირველ სვეტში აღნიშნულია მონაწილეობა ტურნირებში, მეორეში — ჩატარებული მატჩები, მესამეში — დაგროვებული ქულები.

სტატისტიკა... სტატისტიკა...

ჩემპიონთა თასზე 24-ჯერ მიიღო მონაწილეობა მადრიდის „რეალმა“, 20-ჯერ — „ბენფიკამ“ (პორტუგალია), 19-ჯერ — ბულგარეთის „სრედეცმა“, 17-ჯერ — ლუქსემბურგის „ეენეს ეშმა“.

თასების თასზე 12-ჯერ გამოვიდა უელსის „კარდიფ სიტი“, 10-10-ჯერ — შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი“ და ესპანეთის „ბარსელონა.“

უეფა-ს თასზე — 19-19-ჯერ — ესპანეთის „ბარსელონა“, იტალიის „ინტერი“, 18-ჯერ გფრ-ის „კოლნი“.

მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელმა გაიმარჯვა სამივე ტურნირში. ესენია: ანტონიო კაბრინი, გეტანო შირეა და მარკო ტარდელი, „იუვენტუსი“ (1977 წელი — უეფას თასი, 1984 წელი — თასების თასი, 1985 წელი — ჩემპიონთა თასი).

ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველს არნოლდ მიურენს ასეთივე კომპლექტი სხვადასხვა კლუბებში აქვს მოპოვებული, კერძოდ: 1972-1973 წლებში ორჯერ „აიაქსის“ შემადგენლობაში — ჩემპიონთა თასი, 1981 წელს უეფა-ს თასი — ინგლისის „იფსვიჩში“, 1987 წელს თასების თასი, კვლავ „აიაქსში“.

პაატა ცაგარეიშვილი.

ველოსპორტის ამბები

ტრენტო (იტალია). პროფესიონალურ ველოსიპედისტთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ე. წ. წყვილთა რბოლა ბარაკის თასზე, რომლის დისტანცია წლეულს 96,6 კილომეტრს შეადგენდა. გამარჯვება ამჯერად ფრანგთა დუეტს — ლორან ფინიონსა და ტიერი მარის ხვდა. მათ დისტანცია 1:54. 48,6-ში დაფარეს. ეს წარმატება საკმაოდ პრესტიჟულია თუნდაც იმიტომ, რომ ფრანგმა ველოსიპედისტებმა აჯობეს მსოფლიოს ექსჩემპიონებს, იტალიელ მაურიციო ფონდრიესტასა და ავსტრალიელ ალან პეიპერს.

საბჭოთა ველოსიპედისტებს (გორკელი დიმტრი კონიშევი და კუბიშეველი სერგეი უსლამინი), რომლებიც „ალფა ლიუმის“ ღირსებას იცავდნენ მეშვიდე ადგილი ერგოთ — გამარჯვებულებთან 2 წუთი და 59,1 წამი წააგეს.

მადრიდი. შვიდ დღეს გრძელდებოდა კატალონიის სამოცდამეცხრე ველოტური 1224-კმ-ზე. გამარჯვება პოპულარულ რბოლაში ესპანელმა მარინო ლეჰარტამ მოიპოვა. მეორე ადგილი წილად ხვდა ესპანეთის უძლიერეს ველოსიპედისტს პედრო დელგადოს, რომელმაც „ვუელტაში“ (ესპანეთის ტური) წარმატების შემდეგ ვერაფრით აღიდგინა ჩვეული სპორტული ფორმა.

კოგლენცი. გფრ-ის ამ ქალაქში ფინიშის ხაზს გადაკვეთს ევროპის ქვეყნების თანამეგობრობის მრავალდღიანი ველორბოლა, ჯერჯერობით კი გათამაშდა ხუთი ეტაპი. ბოლო ეტაპზე ყველას აჯობა ფრანგმა მრბოლმა, ტიერი ლორანმა, რომელმაც 180 კილომეტრის გავლას 5 საათი 25 წუთი და 24 წამი მოანდომა. ძირითადმა ჯგუფმა (აქ კრასნოდარელი იური მანუილოვიც იმყოფებოდა) ლორანთან 45 წამი წააგო.

ხუთი ეტაპის შემდეგ ლიდერობას ფრანგი ველოსიპედისტი პასკალ ლინო ინარჩუნებს.

„სპორტლოტო“

10 სექტემბერს, მოსკოვში, გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 1989 წლის 37-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 7 (კლასიკური ჰიდაობა), 11 (ფრენბურთი), 22 (წყალში ხტომა), 27 (მშვილდოსნობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 38 (ალპინიზმი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი) 29 (სასტენდო სროლა), 31 (ფარიკაობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

თუ „დიდ ეუზარადს“ მოიპოვებენ

ჩოგბურთის ეს ცნობილი ტერმინი გამოიყენა იტალიის საფეხბურთო კლუბის „მილანის“ პრეზიდენტმა, მულტიმილიონერმა სილვიო ბერლუსკონიმ, როცა ამ ქვეყანაში ახლახან დაწყებულ საფეხბურთო სეზონს შეეხო. მან განაცხადა, რომ პირობას იძლევა „მილანის“ თითოეულ ფეხბურთელს 510 მილიონი ლირა (დაახლოებით 364 ათასი დოლარი) გადაუხადოს, თუკი გუნდი ამ სეზონის ყველა შეჯიბრებაში გაიმარჯვებს. უფრო კონკრეტულად, დასძინა პრეზიდენტმა, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მოპოვებისთვის ყოველი ფეხბურთელი მიიღებს 210 მილიონ ლირას, იტალიის ჩემპიონობისთვის — 160 მილიონ ლირას, იტალიის თასისთვის — 60 მილიონს, საკონტინენტთაშორისო თასისთვის — 30 მილიონს და ა. შ.

აი, სწორედ ამ შეჯიბრებებმა ენდა შეადგინოს ის „დიდი მუზარადი“, რომლის დაუფლება ასე სურს სილვიო ბერლუსკონის.

„სპორტპროგნოზი“

37-ე ტირაჟის შედეგები
(9 სექტემბერი)

1-1, 2-X, 3-X, 4-1, 5-1, 6-1, 7-2, 8-2, 9-1, 10-X, 11-1, 12-2, 13-1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი 88485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთი კორპუსში, ხიშარულის ქ. 29. +V/ უე 00351